

K17883
1



78(c41)2(0)


ラスベラシツア
ルバセラシツア

6979
80

ପ୍ରାଚୀନ ଶିଳ୍ପିଙ୍କ

ଶାର୍ଦ୍ରା ତାତାପିଲାମାରୀ

(ଥିବନ୍ଧୁର ଅଭିଭାବକ ନାର୍ତ୍ତାବିହାର)



୧୯୬୩ ଜାନୁଆରୀ

୨୬୦୯୦୮୦

1962



ඩුජු

නිකුත්තා ප්‍රතිච්ඡත් සේවය

රුදාස්ථාන ලාභ දෙනාසු
ගාමීම්පෙශ පොත්‍ර ජිරාපොට

හිංාරුදුලා ආරමුදා ජි 19/IV-1962 ණ.
පූර්වී රාජෝත්‍යාධිකාරී, තුළමන්තුරිලා දාසාදුදාය 9/VI-1962 ණ.





რომელი ქართველის გული არ ატოკდება ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობით, როდესაც იგი მშობლიური სამუსიკო კულტურის დღევანდელ მდგომარეობას წარმოიდგენს?

გადახედეთ ჩვენს საოპერო თეატრს, თბილისის კონსერვატორიას, საგუნდო კაპელის, რიცხვმრავალ სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლებს, საქართველოს ფილარმონიას, რადიო-ტელეგადაცემათა პროგრამებს, მხატვრული თვითმოქმედების კოლეჯზებს— რამდენი უნარიანი ქართველი ღებულობს მონაწილეობას ეროვნული სამუსიკო და საბალეტო ხელოვნების წარმატებაში.

ავილოთ საკუთრივ ქართვული პროფესიული მუსიკა. ორმოციოდე წლის წინად, გარდა ორი-სამი ოპერისა, თითზე ჩამოსათვლელი რომანსებისა და მხტვრული სიმღერებისა, — არაფერი გავვაჩნდა. დღეს კი. არ არსებობს მუსიკაში უანრი თუ ფორმა, რომელმიაც ეროვნული კომპოზიტორების მიერ არ იყოს შექმნილი საყოველთაოდ ცნობილი, ღიღად დაფასებული მაღალმხატვრული ნაწარმოებები: სიმფონიები და ბალეტები, ორატორიები და კანტატები, სიმღერა-რომანსები, ცნტრუმენტული კონცერტები და ოპერეტები, კვარტეტები და კამერული მუსიკის სხვა მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

მთელი ეს ეროვნული სიმდიდრე, აღმოცენებული ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებით ნიადაგზე, სახელმოვან კლასიკოსთა უკვდავ ტრადიციებზე, უცხოური კულტურის საუკეთესო მონაბოგართა გონივრულ გამოყენებაზე, გროვდებოდა თანდათანობით, მრავალ სიძნელეთა გადალახვის, ნიჭიერი საბჭოთა კომპოზიტორების თავდადებული მოღვაწეობის შედეგად. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი კომპოზიტორი, ღირისები, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე შალვა მიხიელის-ძე თაქთაქიშვილი,

რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მშობლიური ქვეყნის სამუსიკო კულტურის ზრდასა და განვითარებას.

შალვა თაქთაქიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე ოციანი წლების დასაწყისში გამოვიდა. ეს ის წლები იყო, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას მრავალრიცხოვანი საარსებო ამოცანები უნდა გადაეწყვიტა ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სხვა დარგებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული ხელოვნების აღორძინებას, მისი სწრაფი იღმავლობისათვის ხელის შეწყობას, მასებში გაღვიძებულ მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნილებათა და კამაყოფილებას.

მართალია, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე და შემოქმედებითი უნარის მქონე ეროვნული სამუსიკო ხელოვნების უფროსი თაობის წარმომადგენლები (ზ. ფალაშვილი, მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ვ. დოლიძე კ. ფოცხვერაშვილი და სხვ.) დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ, მაგრამ ეს პოდი იყო საკმარისი, საოცრად გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

და ამ, მათ გვერდით, თანდათანობით ებმება მუსიკალურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მათ მიერვე გამოზრდილი ახალგაზრდა ეროვნული მუსიკალური ძალები. უკანასკნელნი აღარ კმაყოფილდებიან არსებული მდგომარეობით ქართული მუსიკის დარგში. ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა მიერ არსდება საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული მხატვრული ძალების კონსოლიდაციას, მათ გაერთიანებას მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის შიზნით. ამ საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატივი და სულისხამდგმელია შალვა თაქთაქიშვილი. ივი უშუალო მონაწილეობას ღებულობს, როგორც ვიოლინისტი და დირიჟორი, ამ საზოგადოების მიერ შექმნილი ჯერ სიმებიანი, ხოლო შემდეგში—სიმფონიური ორკესტრის მუშაობაში.

ქართველ კომპოზიტორ-კლასიკოსების მიერ შექმნილი საოპერო, სარომანსო და საგუნდო ნაწარმოებებით, რომელიც ეროვნული კულტურის სიამაყეს წარმოადგენენ, ვეღარ შემოიფარგლებოდა ქართული ეროვნული მუსიკა. ახლა უკვე საჭირო იყო სხვა



შუსიკალური უანრების წარმოქმნა, რომელთაც ჩვენში აქობამდე არ გააჩნდათ შემოქმედებითა ტრადიციები.

მით უფრო დასაფასებელია შ. თაქთაქიშვილის უდავო დამსახურება ეროვნული ინსტრუმენტული მუსიკის დარგში, რომელ-ზაც იგი გვევლინება პირველი ქართული პროგრამული სიმფონიური ნაწარმოების — სიმფონიური პოემის, პირველი სიმებიანი კვარტეტის, საფორტეპიანო ტრიოსი და ბავშვთა საფორტეპიანო პიესების ავტორად.

დღეს ჩვენ კომპოზიტორებისაგან მოვითხოვთ საბჭოთა სინამდვილის, ჩვენი თანამედროვეობის გამოსახვის პირველ ყოვლისა საოპერო და საბალეტო ნაწარმოებებში, როგორც ყველაზე მასობრივ და პოპულარულ სამუსიკო ქანრებში. ემ მხრივაც შ. თაქთაქიშვილმა პირველმა გადადგა გაბედული ნაბიჯები და შექმნა პირველი ქართული საბჭოთა ოპერა („დეპუტატი“) და ბალეტი („მალოაყვა“). სხვა საკითხია, თუ რამდენად გამართლდა ეს ცდები მხატვრულ-დრამატურგიულად. მაგრამ თუ პრიორიტეტის, გზის გაკაფვას, პირველი ნიმუშების შექმნას ამა თუ იმ დარგში თავისი ისტორიული მნშვენელობა არ დაუკარგავს, მაშინ შ. თაქთაქიშვილმა სრულის უფლებით დაიმსახურა წამომწყების, პიონერის სახელი ქართული საბჭოთა ოპერისა და ბალეტის დარგში.

წელთა მანძილზე შ. თაქთაქიშვილი სამაგალითო მონდომებით და გატაცებით უძლვება სხვადასხვა სახის საგუნდო და საორკესტრო კოლექტივებს, თვითმოქმედ ანსამბლებს, დიდ დროსა და ენერგიას ახმარს კონსერვატორიის სტუდენტ-ვოკალისტთა საოპერო — სცენური მომზადების საქმეს.

სწორედ ეს მრავალმხრივი და ერისათვის სასარგებლო მოღვაწეობა წარმოადგენს საფუძველს იმ პატივისცემისა და გულწრფელი მაღლობისა, რაც შ. თაქთაქიშვილმა ქართველ ხალხში დაიმსახურა.

* * *

შალვა თაქთაქიშვილი დაიბადა 1900 წლის 27 აგვისტოს გორის მაზრის სოფ. ქვემო-ციოთში, ცხინვალის მახლობლად, გამოჩენილი



ჟედაგოგის და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე თაქთაქიშვილის აღახში. ჟაღვას დედა — ნინო მიხეილის ასული, უაღრესად კულტურული პიროვნება, იყო და ცნობილი პუბლიცისტის გიორგი ლასხიშვილისა.

1905 წელს მ. ი. თაქთაქიშვილი დაინიშნა ბაქოს კომერციული სასწავლებლის დირექტორად. ამასთან დაკავშირებით, მთელი მისი ოჯახი ბაქოს გადასახლდა. მ. ი. თაქთაქიშვილის ორმა ცოდნისა, უდმინისტრაციული ნიჭისა, განსაკვიფრებელი ენერგიისა, მტკიცე პრინციპულობისა და ნებისყოფის წყალობით, ბაქოს კომერციული სასწავლებელი, მოკლე ხენში, მთელი კავკასიის ერთ-ერთ სანიმუშო სასწავლო დაწესებულებად იქცა.

სპეციალური საგნების საფუძვლიან შესწავლასთან ერთად, მ. ი. თაქთაქიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწავლეთა ზოგადყულტურულ განვითარებასაც. ამ მიზნით, კომერციულ სასწავლებელში, მან შემოიღო სხვადასხვა სამუსიკო ინსტრუმენტებზე დაკვრა და მაღალ, მოსწავლეთა ძალებით, სანიმუშო სიმფონიური ორკესტრიც ჩამოაყალიბა. ამ თრიუმფური უკრავლენენ ამავე სასწავლებლის მოწაფენი—მ. ი. თაქთაქიშვილის ვაჟები: შალვა (ვიოლინო) და გიორგი (ჩელო).

შალვა თაქთაქიშვილს ადრე გამოაჩნდა მუსიკისაღმი მიღრეკილება. რვა წლისას დააწყებინეს ვიოლინოს დაკვრა გამოცდილ პედავით იული ანტონის-ძე შეფერლინგთან, რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორის ლეოპოლდ აუერის მოწაფე იყო.

„შეფერლინგს გატაცებით უყვარდა მუსიკა—იგონებს შ. თაქთაქიშვილი—და ასევე გატაცებით მან მეც შემაყვარა ეს ხოლოვნება. თუ მე შემდეგში მუსიკოს-პროფესიონალის გზა ავირჩიე, ამაში არავის წინაშე არა ვარ დავალებული ისე, როგორც შეფერლინგის წინაშე“.

ეს ადამიანი, მარტლაც რომ მთელი თავისი არსებით მუსიკოსი იყო. ვიოლინოს დაკვრას ასწავლიდა კომერციულ სასწავლებელში და მოსწავლეთა ორკესტრსაც დირიჟორობდა. გარდა ამისა,

* იმ ხანიდ ბაქოში არაფითარი სამუსიკო სასწავლებელი არ არსებობდა. იყო მხოლოდ კერძო პედაგოგების: შეფერლინგის, ქრონგოლის და სხვათა საფილარონ კლასები; ასევე—ფორტეპიანოს, ჩელოს და სხვა საკრავთა დარგები.

შეფერლინგის უშუალო მონაწილეობით, სასწავლებელში ხშირად იმართებოდა კამერული მუსიკის კონცერტები და მოსწავლეთა გუნდის გამოსვლები. ამ გუნდში შ. თაქთაქიშვილიც გალობდა.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება მომავალი კომპოზიტორის სიყრმის დროინდელი მუსიკალური შთაბეჭდილებანი. თვით მ. ი. თაქთაქიშვილებისას ხშირად იმართებოდა მუსიკალური სალამოები, რომლებშიც ოჯახის წევრები ღებულობდნენ მონაწილეობას: მამა უკრავდა კლარნეტს, შალვა — გიოლინოს, გიორგი — ჩელოს, ხოლო მათი და მარიამი — როიალს.

ამგვარად, შალვა თაქთაქიშვილი, რვა წლის ასაკიდან, მუსიკალური ინტერესების ატმოსფეროში იზრდება, რაც ხელს უწყობს მისი მხატვრული გემოვნების განვითარებას. იგი პავშვობიდანვე იცნობა დასავლეთევროპული და რუსული კლასიკური და სალონური მუსიკის ნიმუშებს. მოგვიანოდ იგი ხშირად ესწრება ბაქოს საობერო თეატრის სპექტაკლებს, მეკლენბურგის კვარტეტის გამოსვლებს, უსმენს გამოჩენილ სოლისტებს: ხეიცეცს, ციმბალისტს, ზალბანდიანს, ვიოლონჩელისტ როსტროპოვიჩს. ფაქტზე ბუნების არალგაზრდას უყვარს სათობით ჯდომა როიალთან და იმპოვიზირება.

მომავალი ქართველი კომპოზიტორის იდეურ ზრდაზე შესამნევ გავლენას ახდენდა ბაქოში გამართული ტრადიციული ქართული სალამოები და წარმოდგენები. შალვას მამა, წელთა განმავლობაში, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ბაქოს ქართველობაში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცეცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილებას, ბაქოს ქართული „დრამატული კომიტეტის“ თავმჯდომარე; ეს კომიტეტი სისტემატურად დგამდა გიორგი ერისთავის, ვალერიან გუნიას, იოსებ გელევანიშვილის, ალექსანდრე სუმბათაშვილის, ა. ცაგარელის, შალვა დადიანის და სხვა ქართველ დრამატურგთა პიესებს. ქართულ წარმოდგენებას და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად ბაქოელები იწვევდნენ გმოჩენილ არტისტულ ძალებს, რომელთა შორის იყვნენ: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე, მაკო საფაროვი-აბა-

შიძისა, იუზა ზარდალიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ნიკო გლირიძე, შალვა დადიანი, სანდრო უორუოლიანი (იმხანად—შაქოს ვაჟთა 1-ლი გიმხაზის პედაგოგი), ნიკო გვარაძე, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი და მრავალი სხვანი.

დაუგიწყარია ეს საღმოები, რომელიც ხელს უწყობდნენ ბაქოელ ქართველუბში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას და განამტკიცებდნენ მათში საყვარელი სამშობლოს ნათელი მომავლის რწმენას.

1916 წელს თაქთაქიშვილების ოჯახი ქუთაისს გადავიდა; შალვამ განაგრძო სწავლა ადგილობრივ რეალურ სასწავლებელში, ხოლო ვიოლინოს დაკვრას—იმავე ლ. აუერის მოწაფესთან, ვიოლინისტ მაგაზინერთან გადიოდა. 1918 წლიდან თაქთაქიშვილები სამუდამოდ დასახლდნენ თბილისში. ეს შალვამ, 1919 წელს, დაამთავრა რეალური სასწავლებელი. 1921 წელს შევიდა თბილისის მეორე კონსერვატორიაში, სადაც მეცადინეობდა ვიოლინოს კლასში—ი. ი. ფიშბერგის ხელმძღვანელობით, ხოლო კომპოზიციის თეორიას გადიოდა პროფ. დ. ე. არაყიშვილთან. ორი წლის შემდეგ, როდესაც მოხდა მეორე კონსერვატორიის პირველთან გაერთიანება, შ. თაქთაქიშვილმა განაგრძო კომპოზიციაში მეცადინეობა პროფ. ს. ვ. ბარხულარიანის კლასში. 1928 წელს მან დაამთავრა საკომპოზიტორო ფაკულტეტი.

შ. თაქთაქიშვილმა ადრე დაიწყო დამოუკიდებელი პროფესიული მუშაობა. 1920—1921 წწ. იგი თბილისის საოპერო თეატრის თრიკესტრის არტისტია (ვიოლინისტი). ერთდროულად (1924 წლამდე) საქართველოს პროფესიულ კავშირთა კულტგანყოფილების თრიკესტრში უკრავს.

ფაქიზი, საონო ბუნების აღამიანს იზიდავს ბავშვთა სამყარო. 1921—1925 წლებში იგი გატაცებით მუშაობს პედაგოგად თბილისის საშუალო სკოლებში, სადაც ასწავლის ბავშვებს სიმღერას, ნერგავს მათში მუსიკის ხელოვნებისადმი სიყვარულს.

1922 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება“, რომელიც 150-მდე წევრს აერთიანებდა—

ამ „საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, გიორგი თაქთაქიშვილისა, იონა ტუსკიასი, დიმიტრი სულხანიშვილისა, ურიგოლ კილაძისა, ლარისა ქუთათელაძისა და სხვათა გარდა, შალვა თაქთაქიშვილიც იყო.

„მუსიკალურმა საზოგადოებამ“ უდაოდ პროგრესული როლი შეისრულა ქართული სამუსიკო კულტურის განვითარების საქმეში. მის ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები, რომელთაც მიზნად დაისახეს მშობლიური ხელოვნებისადმი ყოველ-შერივი ხელისშეწყობა.

„საზოგადოების“ პირველ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა 1923 წელს სიმებიანი ორკესტრის დაარსება, რაც, ერთი წლის შემდეგ, სიმფონიურ ორკესტრში გადაიზარდა. 1925 წელს, „საზოგადოების“ წევრთაგან, ჩამოყალიბდა პირველი ქართული სიმებიანი კვარტეტი; იმავე წელს, თბილისის კონსერვატორიასთან, ა. ფალავას და „საზოგადოების“ ხელმძღვანელთა ინიციატივით, საოპერო სტუდიაც დაარსდა.

ამგვარად, „მუსიკალურმა საზოგადოებამ“ მრავალმხრივი შორვაწეობა გაშალა ახალგაზრდა ეროვნული საშემსრულებლო კადრების მომზადების, მშრომელთა ფართო მძებელი კამერული, სიმფონიური და საოპერო ხელოვნების ენერგიული პროპაგანდის ჩაბით. „საზოგადოების“ ამ მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარებაში ქადაგდებოდა მონაწილეობას ღვეულობდნენ ცნობილი არტისტული ძალები, რომელთა შორის აღსანიშნავია: დირიჟორი ივანე ფალავაშვილი, რეჟისორები—კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, სანდრო ახმეტელი და ალექსანდრე წუწუნავა.

სიმფონიური ორკესტრის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა შემდეგში პროფესიონალ-მუსიკოსთა გზას დაადგა. მათ შორის უნდა აღინიშნოს: დირიჟორები—ევგენი მიქელაძე, ალ. გველესიანი, ალ. ნასიძე, შალვა აზმაითარაშვილი, სურენ ჩარექვი, მიხეილ ძიძიშვილი, ვახტანგ ნეიმანი-ბარნაბელი, კომპოზიტორები — იონა ტუსკია, გრიგოლ კილაძე, ვანო გოკიელი, მუსიკოსი—პედაგოგები: გ. თაქთაქიშვილი, ლ. შიუკაშვილი, ლ. იაშვილი, გ. ონიაშვილი, ჩინო კოზმინეკაია, ვ. მელენტიევი, ვ. გეგაძე, ვ. ხოროშვილი, ვ. ლან-

ჩაგა, გ. გვენცაძე; მუსიკოსმცოდნენი — შალვა ასლანიშვილი, გრიგორი ჩხიგვაძე, ნიკო ჩიგოგიძე, და სხვანი.

შალვა თაქთაქიშვილი, რომელიც ამ ორკესტრში ვიოლინოს პარტიას უკრავდა, მალე დაწინაურდა როგორც დირიჟორი. მას არაერთხელ ჩაუტარებია საპასუხისმგებლო სიმფონიური კონცერტები თბილისში, ბორჯომში, აბასთუმანში და საქართველოს სხვა ქალაქებში, სადაც „საზოგადოების“ სიმფონიური ორკესტრი საგასტროლოდ ჩადიოდა (1925—1928 წლებში).

აღასნიშნავია, რომ მთელ რიგ ქართველმა კომპოზიტორმა (ტუსკია, კილაძე, გოკიელი და სხვ.) პირველიდ ამ ორკესტრისთვის დაწერილ პიესებში გამოამჟღავნა თავისი შემოქმედებითი ნიჭი. იგივე იოქმის შალვა თაქთაქიშვილზედაც, რომლის პირველი საორკესტრო ნაწარმოებები: „ნანა“ (ჩელო!, სოლოთი) და „ოროველა“ (1923) წარმატებით იქნა შესრულებული ორკესტრის მიერ გ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის, ი. ფალიაშვილის და ავტორის ხელმძღვანელობით.

დირიჟორობით გატაცებული შ. თაქთაქიშვილი არ ივიწყებს თავის საყვარელ პედაგოგიურ მუშაობას. 1925—1928 წლებში იგი ასწავლის თეორიულ საგნებს თბილისის 1 მუსიკალურ სასწავლებელში. ამავე დროს ხელმძღვანელობს თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო კლასს. აკაკი ფალიგვასთან ერთად თბილისის IV მუსიკალურ სასწავლებელში დგამს საოპერო ნაწყვეტებს „ორფეოსიდან“, „დარეგან ცბიერიდან“, კასტალსკის „თალგამიდან“.

1928 წელს, დიმიტრი სულხანიშვილთან ერთად, აარსებს ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელს, ერთი წელი უწევს მას ხელმძღვანელობას, რითაც ნიადაგს უმზადებს ამ სასწავლო დაწესებულების შემდგომ ნაყოფიერ საქმიანობას.

1929 წელს, ზ. ფალიაშვილთან ერთად, უძლვება ხარკოვში გამართულ ქართული მუსიკის საღამოებს. კონცერტები გაიმართა ხარკოვის (იმ დროს — უკრაინის სსრ სატახტო ქალაქი) სახელმწიფო ოპერის თეატრში. პროგრამაში შედიოდა: ოპერა „დაისის“ შესავალი, მაროს ტირილი, ლეკური; საბალეტო მუსიკა ოპერიდას „აბესალომ და ეთერი“, სუიტა — ფანტაზია იმავე ოპერის მუსიკი-



ზან, ჭ. ფალიაშვილის კანტატა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის 19 წლისთავისადმი, ი. ტუსკიას „ანდანტე“ სიმებიანი ორკესტრისათვის, გ. კილაძის საორკესტრო სუიტა № 1, გოჩას არია მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერიდან“, ჩელოს სოლო — „მწუხარება“ — ორკესტრის თანხლებით შ. თაქთაქიშვილისა და სხვ. სოლისტებად გამოვიდნენ მ. გრიშკო (ბარიტონი), ე. დილოვი (ჩელო) და სხვ.

შ. თაქთაქიშვილს საქართველოს რადიოკომიტეტის ხაზითაც პოლედა ფრიად საჭირო და ნაყოფიერი მუშაობის ჩატარება. 1932—1936 წლებში იგი იყო ამ დაწესებულების სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და, პარალელურად, მისი ინიციატივით დაარსებულ რადიოკომიტეტის ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელი.

ამ დროისათვის შ. თაქთაქიშვილს უკვე თავი აქვს დაწებებული ჰედაგოგიური მუშაობისათვის სკოლებში. მაგრამ მთლიანად მაინც არ ჩამორჩა ახალგაზრდებთან მეცადინეობას. სხვადასხვა წლებში იგი უძღვება, როგორც დირიჟორი თბილისის მუსიკალურ სასწავლებელთა საორკესტრო კლასებს, ამავე სასწავლებლებისა და მუსიკალური ათწლევის მოსწავლეთა გაერთიანებულ სიმფონიურ ორკესტრს. ამ ორკესტრს შესრულებული აქვს: შუბერტის „დაუმთავრებული სიმფონია“. ჰაინდის სიმფონია, მოცარტის რემინიული და ბეთოვენის მესამე საფორტეპიანო, ვივალდის სავიოლინო კონცერტები, ჭ. ფალიაშვილის „ნანა“ ვოკალური ანსამბლისა და სიმებიანი ჯგუფისათვის და სხვ.

1938—1939 წლებში შ. თაქთაქიშვილი — ა/კ სამხედრო ოლქთან არსებული წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია. ამის შემდეგ მას იწვევენ საქართველოს ფილარმონიის კამერული განყოფილების ხელმძღვანელად.

1937 წლიდან შ. თაქთაქიშვილი კონსერვატორიის საოპერო კლასის დირიჟორია, სადაც იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მომავალ საოპერო მომღერლებთან.

გარდა სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა, შ. თაქთაქიშვილი, მრავალ წელთა მანძილზე, აქტიურ



საზოგადებრივ მოღვაწედ გვევლინება. სხვადასხვა დროს იგი იყო „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ გამგეობის წევრი; ამავე „საზოგადოების“ საოპერო სტუდიის მუშაკი; თბილისის საოპერო ოერტრის ადგილკომის წევრი; ქუთაისის სასკოლო ორკესტრის დამაარსებელი და დირიჟორი; თბილისის კონსერვატორიის ადგილკომის თავმჯდომარე; საქ. საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის, მთელ რიგ საკონკურსო კომისიების წევრი და ა. შ.

უბრალო ჩამოთვლაც კი იმის, რაც დღემდე შ. თაქთაქიშვილს გაუკეთებია ქართული საბჭოთა სამუსიკო კულტურის დარგში, ცხადყოფს მის ღრმა ინტერესს მშობლიური ხელოვნებისადმი, უმრეტ ენერგიას, ავტორიტეტულობას და დიდ პრაქტიკულ გამოცდალებას.

საბჭოთა საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ ღირსეულად ღააფასა შალვა თაქთაქიშვილის ღვაწლი მშობლიური კულტურის წინაშე. 1961 წლის 11 იანვარს, ვანო საჩახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო შ. თაქთაქიშვილის დაბადებიდან 60 წლის და შემოქმედებითი, პედაგოგიური და საშემსრულებლო მოღვაწეობის 40 წლისთვის დაკავშირებული იუბილე.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ. მოხსენებით შ. თაქთაქიშვილის მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა ამ სტრიქონების ავტორი.

იუბილარს მრავალი მუსიკოსი მიესალმა, რომელიც გულთბილად აღნიშნავდნენ შ. თაქთაქიშვილის ღვაწლს მშობლიური სამუსიკო კულტურის წინაშე. სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან მან აუარებელი საჩუქრები და საპატიო მომართვები მიიღო.

დიდ კონცერტში, რომელიც საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა, შესრულებული იქნა შ. თაქთაქიშვილის სხვადასხვა უნარის ნაწარმოებები, გულისხმიერად მიღებული რიცხვმრავალი აუდიტორიის მიერ.



ვანო სარაგიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კლასი. ნ. ა. ჩიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „მეფის საცოლე“ ნაწყვეტების დადგმის შემდეგ.

სხედან (მარცხნიდან): ს. არუთინოვა (ლიუმაშა), შ. თაქთაქიშვილი, კონცერტ-მეისტერი გ. ტიხოვა, ე. პატარაია (მარფა), დგანან: გ. ზარიძე (გომელი), თ. მუშეულიანი (სობაკინი), გ. მიჩაძე (დუნიაშა), ო. ბახტაძე (ლიკოვი). 1951 წლის მაისი.



მიუხედავად შ. თაქთაქიშვილის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობისა ქართული სამუსიკო კულტურის სხავადასხვა დარგში, განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც მის საკომპოზიტორო მოღვაწეობას ენიჭება.

არიან კომპოზიტორები, რომელნიც, შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე, მკაფიოდ ამჟღავნებენ თავის ინდივიდუალობას, წერის მანერას, ხალხურ მუსიკასთან მჭიდრო დამკაიდებულებას და, მაშასადამე—თავის ეროვნულ ჟეობას. ასე დაიწყო საკომპოზიტორო მოღვაწეობა გრიგოლ კილაძემ, იონა ტუსკიამ, შალვა მშველიძემ, ალექსი მაჭავარიანმა, სულხან კინცაძემ და სხვებმა. წელთა მანძილზე მათ, რა თქმა უნდა, განვითარეს საკომპოზიტორო ოსტატობა, გააფართოეს ეროვნული მუსიკის გამომსახველ საშუალებათა შესაძლებლობანი, გამოიჩინეს ინტერესი სხავადასხვა მუსიკალური უანრებისადმი. მაგრამ, პირველ ნაწარმოებებშივე, ამკარად ჩანდა ამ კომპოზიტორთა ორგაზული კავშირი ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებასთან, ღრმა დამოუიდებულება მთელს ქართულ კულტურასთან.

სხვაგვარი იყო შ. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი გზა. მისი, როგორც ეროვნული პროფილის მეონე კომპოზიტორის ზრდის პროცესი დაკავშირებულია ნაციონალური მუსიკალური ენის დაბულ ძიებასთან.

შ. თაქთაქიშვილმა ქართულ მუსიკაში ფეხი შემოდგა არა როგორც „ხალხის წიალიდან“ გამოსულმა მუსიკოსმა, არამედ როგორც რაფინირებული კულტურის წარმომადგენერლმა, რუსული და დასავლეთევროპული ხელოვნების ნიმუშებზე ღლზრდილმა ინტელიგენტმა.

შ. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა იწყება 1921 წელს, როდესაც იგი წერს თავის პირველ ნაწარმოებს — „ნანა“ — ბალმონის ტექსტზე. ტექსტის შერჩევა, შელოდიის სანტიმენტური მიმოქცევით და საფორტეპიანო თანხლების მიერ შექმნილი ნატიფი ჰარმონიული ფონი ამ ნაწარმოებს მიაკუთვნებს იმ სალონურ კულტურას, რომლის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყო-



ფებოდა დამწყები ქომპოზიტორი. ამასვე მოწმობს მისი პირველი საფორტეპიანო პიესა „ზღაპარი“ (1922) და „ნანა“ ჩელოსათვის ფ.-პ. თანხლებით (1922).

მართლაც, კომპოზიტორის ბავშვობისა და სიყრმის წლების შუსიკალურ-ლიტურატურულ შთაბეჭდილებათა წყაროს შეადგენდა: მენდელსონის, სენ-სანსის, რებიკვოის, მასნეს, გრეჩანინოვის, ბრაგის, პიერნეს და სხვათა შემოქმედება; მეორე მხრივ — ბავშვთა ზღაპრულ-ფანტასტიკური სამყარო, ასახული გრიმების და ანდერ-სენის ზღაპრებში, საბავშვო უურნალში „სვეტლიჩიკ“ (ციცინა-თელა), ა. ფ. მარქსის გამომცემლობის „ოქროს ბიბლიოთეკაში“ და ა. შ. ამ თავისებური კულტურის ზეგავლენას ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო ადრინდელ შემოქმედებით პერიოდში; თვი ღროვამოშვებით თავს იჩენს მოგვიანოთაც, რადგან, არც თუ ისე ადვილი იყო კომპოზიტორისათვის ახალგაზრდობიდანვე შეთვისებული მხატვრული ატმოსფეროს ზეგავლენისაგან ერთბაშად თავის დაღწევა.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი: იმავე 20-ანი წლების დასაწყისში, შ. თაქთაქიშვილი მიმართავს ქართული ხალხური სიმღერების საწყისებს. მის მიერ შექმნილი — „ურმული“ (1921, ტენორისათვის), „ნანა“ (1922, ჩელოსათვის) და „ოროველა“ (1923, ორკესტრისათვის) საინტერესოა როგორც მათი ავტორის ცდა — დაუახლოვდეს მშობლიურ ფოლკლორს, შეითვისოს მისი ენა და საკუთარი მეტყველებაც ამ ძვირფასი მასალის კილონინტონაციურ ბუნებას შეუფარდოს.

საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში, შ. თაქთაქიშვილი განიცდის არა მ. ბალანჩივაძის და ზ. ფალიაშვილის, არამედ დ. არაყიშვილის ზეგავლენას, რადგან მისთვის არაყიშვილისეული მუსიკალური „აღმოსავლეთი“ (რომელიც, არსებითად, რუსული, კერძოდ — მოსკოვური „ორიენტალიზმიდან“ მომდინარეობს) უფრო ანლოა, უფრო შეესატყვისება თაქთაქიშვილის მიერ ეროვნულობის გაგებას მუსიკაში, ვიდრე ფალიაშვილისეული, ხალასი ხალხურობით გაჯერებული, შემოქმედება.

შ. თაქთაქიშვილის ოთხმოქმედებიანი საბავშვო ოპერა-ზღაპარი „განთადი“ (1923, ლიბრეტი — ანგელიზტორის ძმის, დრამა-



ტურგ გიორგი თაქთაქიშვილისა), — ერთ-ერთი პირველი ნიმუში ქართული მუსიკის ამ უანრისა, წარმატებით დაიდგა 1924 წელს თბილისის საოპერო სცენაზე. მთავარ როლების შემსრულებლად გამოვიდნენ: ნიკო ქუმისაშვილ, ზ. სვანიძე, ნ. კარგარეთელი, ვოლჩანეცვაია, ვლადისლავ გურაძე და სხვ. დირიჟორობდა ი. პ. ფალიაშვილი, დადგმა კ. ანდრონიკაშვილისა; ბალეტმეისტრები ს. სერგიევი, მხატვარი ი. გამრეკელი. უნდა ითქვას, რომ ამ ოპერის ტექსტი დაწერილი იყო რუსულ ენაზე; ქართული თარგმანი უკუთვნის ვ. გაფრინდაშვილს.

„განთიადი“, თავისი მიამიტი სიუჟეტით, ნათელი, ალექსიანი მელოდიურობით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წმინდა ეროვნულ ჰანგებთან, წარმოადგენს კომპოზიტორის ცხოვრების უბედნიერესი ხანის — ბავშვობისა და სიყრმის ერთგვარ მოგონებას. ივივე ითქმის მის სხვა საბავშვო ოპერებზე: „ყვავილთა შორის“ (1922, ლიბრეტო კომპოზიტორის დედის, ნ. მ. თაქთაქიშვილის), „პირველი მაისი“ (1924, გეგეჭკორის ლიბრეტო) და „შემოღომა“ (1925, ტექსტი ბათმანიშვილის), რომელნიც რამდენჯერმე შესრულდა შრომის სკოლების მოსწავლეთა ძალებით ობილისში, ქუთაისში, ბათუმში, ხაშურში, ჭიათურასა და გორში.

1926 — 1930 წლებში შ. თაქთაქიშვილი ვანიციდის სულიერ დეპრესიას, რაც აშკარად ჩანს მის ვოკალურ ნაწარმოებებში: „ტუსალი“ (სპერანსეს ტექსტზე), „ბედისწერა“, „ღამე“ და სხვა. მუსიკალური ენა აქ იგივეა, რაც საბავშვო ოპერებში; მაგრამ, რაც შთავარია, კომპოზიტორი იჩენს მისწრაფებას დაბალი რეგისტრებისაკენ, 5—6—7 ბემოლებიან მინორულ ტრინალობებისაკენ, პირად განცდათა, დაძაბულ სულიერ განწყობილებათა სამყაროში განდგომისაკენ.

იმ წლების ნაწარმოებთა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა არის კომპოზიტორისათვის სამყარო?

— „ცივი ღამე... ირგვლივ ძილი... სიჩუმე... და ყოველმხრივ ჩამოწოლილი სიბნელე...“ იმათა „ტუსალის“ გაქანება სინათლისაკენ, თავისუფლებისაკენ... მისი ხვედრია — კვლავ „ცივი საპყრობილე, დუმილი ირგვლივ“...

მძაფრ სულიერ განცდებს, გულს მოწოლილ სევდას იგი მოკ-



ლე და უაღერსად გამომსახველ სავიოლონჩელო პიესაში გადმოსცემს, რომლის სახელშოლებაც — „მწუხარება“ („ურმული, 1926 წ.) — პირდაპირ შეესატყვება ავტორის მიერ განცდილ.

შ. თაქთაქიშვილი — მეტად მოკრძალებული, ნაზი ბუნების ძალამიანია. მას ახასიათებს უშუალო, გამახვილებული ნერვული რეაგირება გარეშე მოვლენების მიმართ, მაგრამ არასოდეს იგი ამ რეაგირებას არ ამჟღავნებს აშკარად. ყველასათვის დასანახავად და შესაცნობად. მხოლოდ თავის ქმნილებებს თუ გაანდობს და მათში გამოხატავს იგი იმას, რაც აწუხებს, სტანგავს ან ახალისებს და ახარებს. ალბათ შ. თაქთაქიშვილის ამ ბუნებრივ თვისებებში გაურკვევლობის შედეგი იყო, რომ, ზემოლ დასახელებულ ნაწარმოებთა ემოციური ტონუსის მიხედვით, მას მკაცრი „განაჩენი“ გამოიტანეს და დაახასიათეს იგი, როგორც „მსოფლშეგრძენების გამოძიხილი ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ფენისა, რომელმაც არ იწამა რევოლუცია“...

მაგრამ, კიდრე ასეთ უსაფუძვლო იდეურ-პოლიტიკურ „დახასიათებას“ დაიმსახურებდა, თვით შ. თაქთაქიშვილმა პპოვა თავის თავში ძალა გაერლვია მძიმე სუბიექტურ განცდათა ატმოსფერო, მოენახა გამოსავალი ბურუსით მოსილ პირად სამყაროდან ნათელ, ჯანსაღ და ქმედით ობიექტურ გარემოსთან. ამას მოწმობს, ერთი შერივ, ენერგიითა და ნებისყოფით სავსე „წითელარმიელთა სიმღერები“ (1926 წ., ს. ერთაშოინდელის ტექსტზე), დაწერილი ქართული დივიზიის პოლიტიკანურფილების დაკვეთით, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა ავტორთა ლექსებზე აგებული „პიონერული სიმღერები“ (1927). სამი წლის შემდეგ ამას მოჰყვება ათი პატარა, ხატოვანი მუსიკალური სახეებით გამორჩეული საფორტეპიანო პიესების კრებული — „ბაგშეთა სამყარო“.

როგორც ვხედავთ, შ. თაქთაქიშვილის არაერთგზისი მიმართვა ბავშვთა სპეტაკ და მიამიტ სამყაროსადმი გამოწვეულია არა მარტო ნორჩი არსებებისადმი მისი სიყვარულით, არამედ კომპოზიტორის ბუნებრივი მისწრაფებითაც — აქ, უმწიკვლო არსებათა შორის, მათზე ფიქრით და მათი გასახარელი პიესების შექმნით განულდეს გულის გამაწვრილებულ სევდიან ფიქრებს, სულიერად ჯანიშმინდოს მათთან ურთიერთობით, პპოვოს შეება და სიხარული.



სხვა არა იყოს რა, შ. თაქთაქიშვილმა, ეროვნული სამუსიკო ლიტერატურის ამ დარგში, მოგვცა პირველი, მხატვრულად დასრულებული ნიმუშები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მიმზიდველობა და მუსიკალურ-ალმზრდელობითი მნიშვნელობა.

მაგრამ, გარდა ბავშვთა სამყაროსი, იყო მეორე, ფრიად მნიშვნელოვანი სფერო, რომლისაკენაც მთელის თავისი აჩსებით, მის-თვის დამახასიათებელი უშუალობითა და გულწრფელობით მიისწაფოდა კომპოზიტორი. ეს იყო — თანამედროვეობის თემა, მოწინავე, რევოლუციური იდეებით გაჯერებული სიუჟეტები, რომელთა მუსიკალურ ასახვას კეთილშობილურ მიზნად ისახავს კომპოზიტორი.

ცხადია რომ „განთიადს“ — ამ საბავშვო ზღაპრულ ოპერას „რევოლუციურად“ ვერ ჩავთვლით (როგორც ამას ერთ დროს თვით ავტორი სთვლიდა) მხოლოდ იმის ვამ, რომ მასში „წითელი ყვავილი“ — ყავაზო „მეთაურობს“ ყვავილთა „ამბოხებას“! ამიტომ, სოციალური თემატიკისადმი მიმართვის პირველ საყურადღებო ნიმუშად შ. თაქთაქიშვილის შემოქმედებაში უნდა მივიჩნიოთ მისი სამნაწილიანი სიმფონიური „პოემა 1905 წელზე“, რომლის პროგრამა აგებულია ფელიქს კონის სიტყვებზე. ეს ნაწარმოები, მიძღვნილი თავისი ბიძის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის ხსოვნისადმი, იწერებოდა 1930—1931 წლებში და რამდენჯერმე იქნა შესრულებული ავტორის დირიჟორობით.

„პოემა 1905 წელზე“ — პირველი, რევოლუციურ თემაზე დაწერილი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოებია ქართულ მუსიკაში. ამაშია მისი დადებითი მხარე.

„პოემის“ მოკლე პროგრამა ასეთია:

I ნაწილი... „სამეფო ჭარების დამარცხება დამარცხებას მოდევდა. სულ უფროდაუფრო შიშვლდებოდა არსებული წყობილების სიდამპლე. ომთან დაკავშირებით ნადგურდებოდა ქვეყანა და სულ უფრო ეცემოდა იგი“.

დასონანტურ აკორდულ წყობათა ქრომატიული სვლები, მელოდიური ხაზის დაძაბულობა, ორკესტრში გამეფებული პირქუში კოლორიტი — ასეთია, ზოგადად, ამ ნაწილის მუსიკა, რომელიც



Онбийлик санында. Қармалылардың орталық аныкшылыктарын мүшисибаалуулар. Сүрөттөрдөн көрүлгөндөн күнөлүктөн да 3000-дегенчеге. Сүрөттөрдөн (Баар-Көңілдән): 1. Қызылбаш, 2. Әлісағаш, 3. Қасымбек, 4. Қоласын, 5. Ұзатылғанбек (Абаймұратад Әтбеков), 6. Аманжол, 7. Қарынбек (Диңгизбеков), 8. Қадырбек (Диңгизбеков), 9. Қызылбаш, 10. Қарынбек (Диңгизбеков), 11. Қызылбаш, 12. Қарынбек (Диңгизбеков), 13. Қарынбек (Диңгизбеков), 14. Қарынбек (Диңгизбеков), 15. Қарынбек (Диңгизбеков), 16. Қарынбек (Диңгизбеков), 17. Қарынбек (Диңгизбеков), 18. Қарынбек (Диңгизбеков), 19. Қарынбек (Диңгизбеков), 20. Қарынбек (Диңгизбеков). 1943 жыл.

უმთავრესად, ცალკეული, ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ფრაგმენტებისაგან შესდგება. ძირითადი სახეები შოკლეულით თანმიმდევრულ განვითარებას და მთლიანობას.

II ნაწილი... „ყველა კლასებში იზრდებოდა აღელვება და აღ-შფოთება. ძლიერდებოდა მუშათა მოძრაობა. რევოლუციური ტალღა მაღლა იწევდა. ბრძოლა ღებულობდა მკვეთრად რევოლუციურ ხასიათს. თვითმპარობელობა იძულებული გახდა გამოსულიყო კონსტიტუციური მანიფესტით, უკან დაეხია და რევოლუციურ ხალხისათვის დაეთმო ბრძოლის ველი. დაიწყო ბურჟუაზიული ლიბერალიზმის „გაზაფხული“.

ამ ნაწილის დასაწყისში გაივლის „ავბედი“ მთელტონიანი ვა-მა, გადიდებული კვარტები და სამხმოვანებანი.

სიმებიანთა და ხის ჩასაბერთა გამკვეთი ქრომატული სვლები მკვახე დისონანტურ ხმოვანებას ქმნიან. ქა-იქ გაიელვებს „მარსელიეზას“, ვ. ი. ლენინის საყვარელი რევოლუციური სიმ-ლერების: „სმელო ტოვარიშჩი, ვ ნოგუ“ და „ზამუჩენ ტიაუოლოი ნევოლეი“ მელოდიური მიმოქცევანი. თანდათანობით დაბაბული ტდება „ბრძოლა“, რაც, კულმინაციურ მომენტში (დო-დიეზ მა-ჯორში), გადაიზრდება ჭერ მძლავრ, საზეიმოდ მუღერ „მარსე-ლიეზაში“, ხოლო, უშუალოდ მის შემდეგ: — ენერგიულ რევოლუციურ სიმღერაში „სმელო ტოვარიშჩი, ვ ნოგუ“. ანდანტედან, ტალღისებური აკომპანემენტის ფონზე, გაისმის ტრადიციული სა-ოპერო — ორიოზული ხასიათის მელოდია (დადაბლებული II სა-ფეხურით), რაც სანტიმენტალური იტალიური საოპერო კანტილენას მოგვაგონებს. ნაწილი თავდება ორკესტრის მდორე, რბილი ხმოვანებით.

III ნაწილი. „...და ამას, მთავრობის მხრივ, მყისვე მოჰყვა მრისხანე რეაქცია. „გაზაფხული“ გათავდა. მეფის მთავრობა მოქმედებას შეუდგა“....

კვლავ გაისმის ორკესტრში მკვეთრი, „მშრალი“ დისონანტური აკორდები. სიმებიანთა დაბალ რევისტრში, ვალტორნებსა და ტრამბონებში პირქუშად ხმოვანებს ნაწყვეტები საეკლესიო სა-გალობლიდან — „სპასი გოსპოდი“ (იხსენ უფალო ხალხი შენი).

აგერ გამოვიდა დარაზმული რეაქციური ძალა — „შავი ასეული“ სახელმწიფო პიმნის — „ბოჟე ცარია ხრანი-“ს გალობით.

ვიოლინოების ფიგურაციათა ფონზე მაესტოზურად ქლერს „სპასი გოსპოდი“ მუსიკის „შეტევით“ ხასიათს ხაზს უსვამს მცირე დოლის ოსტინატური, მარშისებური რიტმული მიმოქცევა, რასაც მოსდევს, ფლექსოტონის შესრულებით, გროტესკული, უხამსი მყვირალა მელოდია პუსარული სიმღერისა — „პო ულიცე პილ პოდიმაია“. მაგრამ ამ თემას სწყვეტს მთელი ორქესტრის მძაფრი დარტყმა. კლარნეტის სევდიან სოლოს უერთდება სიმებიანი ჯგუფი, რომელთაც მიჰყავთ მუსიკა გასხივოსნებულ სოლ-დიეზ მაჟორულ ხმოვანებისავენ. რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ნათელი მომავლის ჩრდენა ურყევია!..

ბევრი რამ ამ „პოემაში“ მოწმობს ავტორის შემოქმედებით მოუმწიფებლობას. იგი თავს ვერ ართმევს ძირითადი თემატური მასალის განვითარებას.. აქედან — მუსიკალური ფაქტურის ფრაგმენტულობა, ეპიზოდურობა. ტექსტში მოცემული იდეური შინაარსის მხატვრული განზოგადების ნაცვლად — ბევრწერითი ეპიზოდების სიჭარბე. ყოველივე ამას ზედ ერთვის მუსიკალურ გამომსახველ საშუალებათა ეკლექტურობა, რასაც არაფერი აქვთ საერთო ეროვნულ მუსიკალურ შეტყველებასთან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ იმისათვის შევჩერდით „პოემაზე“, რომ ამ ნაწარმოებმა საგრძნობლად შეუწყო ხელი კოშპოზიტორს სუბიექტურ განცდათა სუეროდან თავის დალწევაში. გარდა იმისა, რომ შ. თაქთაქიშვილმა პირველად სცადა აქ თავისი მზარდი ოსტატობა საორკესტრო მუსიკის სფეროში, „პოემის“ რევოლუციური სიუჟეტი, მიუხედავად მისი მუსიკალურად გადაწყვეტის არასაკმაო ხარისხისა, იღეურად და უორმით რთული მუსიკალური ნაწარმოების დარგში საკუთარი შემოქმედებითი ძალების პირველი მოსინჯვა იყო.

შალვა თაქთაქიშვილს არა მარტო ადრინდელი, არამედ მთელი შემდგომი შემოქმედებითი გზის განმსაზღვრელ ნაწარმოებად მისი პირველი სიმებიანი კვარტეტი გვევლინება. პირველი კვარტეტის (რე მინორი, 1930 წ.) პნიშენელობა სცილდება ავტორის საკომპოზიციო სტილის დადგენის საკითხთა ფარგლებს. გარდა

მხატვრულისა, მას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს იშ მხრივ, რომ წარმოადგენს ქართული კამერული ინსტრუმენტული მუსიკის პირველ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს, კერძოდ კი — საკარტეტო უანრის ფუძემდებელ ნაწარმოებს. ამ დარგში მას მხოლოდ ო. ტუსკიას ერთნაწილიანი კვარტეტი (1926) უსწრებს, აგებული ხალხური სიმღერის — „ჩელას“ — ინტონაციურ და ჰარმონიულ მიმოქცევებზე.

როგორც ზემოდ აღნიშნეთ, შ. თაქთაქიშვილი დაუინგბით ეძებდა გამოსავალს ღრმა შინაგან სულიერ განცდათა სფეროდან. ამ შიზნით იგი ქმნის „პოემას 1905 წელზე“. ამ თემას კომპოზიტორი მიუდგა არა როგორც რევოლუციურად განწყობილი, შებრძოლის სულისკვეთებით გამორჩეული ხელოვანი, არამედ როგორც მოწინავე ინტელიგენტი, რომელიც გულწრფელად და მთელი თავისი შეგნებით თანაუგრძნობს რევოლუციას, სწამს მისი ისტორიული აუცილებლობა.

სულ სხვაა, ამ მხრივ, შ. თაქთაქიშვილის პირველი კვარტეტი, მიძღვნილი ნიკიერი მუსიკოსის, ქართული კვარტეტის ერთგრაფი დამაარსებლის პ. ბოკერიას ხსოვნისადმი.

ამ კვარტეტის ემოციური ზეგავლენის ძალა — გამოთქმის უშუალობასა და მომხიბვლელ გულწრფელობაშია, რაც ნაწარმოების ოთხივე ნაწილში ვლინდება. მთელს კვარტეტში გამეფებულია ერთიანი ფსიქოლოგიური ტონუსი — მძაფრი სულიერი აღელვებულობა, გამოწვეული სევდით, უიმედობით, გულის წეხილით. ასეთი განწყობილებანი არც მის წინა წლების პიესებს ეუკხოება. მაგრამ აქ, ამ ციკლურ ნაწარმოებში, სადაც კომპოზიტორი არ იყო შეპირობებული არც პოეტური ტექსტით, არც პროგრამულობის მოთხოვნილებებით, მძლავრად, შეუზღუდველად გამოვლინდა ის, რაც მას აღელვებდა, ჰქეჭნიდა, სულს უმღვრევდა. მე ვამბიბ — შეუზღუდველად, და მხედველობაში მაქვს უშუალო ემოციურობის წინა პლანზე წამოწევა შედარებით მასალის რაციონალურ „შეწონილობასთან“, მელოდიურ, ჰარმონიულ და რიტმულ საშუალებათა ოსტატურის „მომჭირნეობით“ გამოყენებასთან.

შ. თაქთაქიშვილი მანამდეც მიმართავდა ქართულ ხალხურ

სასიმღერო მასალას. მაგრამ ამ უკანასკნელს გამოყენება როდი ატარებდა ისეთსავე შემოქმედებით ხასიათს, როგორც პირველ პვარტეტში. კომპოზიტორი ღრმად ჩაწერდა მშობლიურ ფოლკლორისათვის დამახასიათებელ მღერადობას და გარდაქმნა იგი შეფარდებით როგორც თავისი მელოდიურობის ნიჭთან, ისე ინსტრუმენტული მუსიკის ბუნებასთან. კომპოზიტორმა მუსიკოსის შინაგანი ალოოთი შეიგრძნო და აღიქვა კვარტეტის ფორმა — კამერული ინსტრუმენტული მუსიკის ეს ურთულესი სახეობა; სწორედ ამან განსაზღვრა ნაწარმოების მუსიკალური და კონსტრუქციული ღირებანი.

როგორც ჩანს, ეს უეჭველი ოვისებები საფუძველი იყო იმისა, რომ შ. თაქთაქიშვილის კვარტეტი №1 მრავალგზის იქნა შესრულებული ისეთი გამოჩენილი ანსამბლების მიერ, როგორიცაა: ვილიომის, გლაზუნოვის, კომიტასის სახელობის და სხვა კვარტეტები.

შ. თაქთაქიშვილის პირველი კვარტეტის პირველი ნაწილის დასწყისში გატარებულია მხიარული ხალხური სიმღერის — „დელი დელა“-ს თემა, მაგრამ მინორულ კილოში. განმეორებით გატარებისას ხდება ამ მუსიკალური სახის არა მარტო ინტონაციური, არამედ ემოციური ტრანსფორმირებაც. ტრანალურად შეცვლილი (სი-მინორი), იგი იყვებს დამხმარე პარტიის ადგილს. სონატურ ალეგროში (I-ნაწ.) მონოთემატური პრინციპის გამოყენებით კომპოზიტორი ქმნის ამ ნაწილის ძირითადი განწყობილების — მზარდაულიერი აღლვებულობის — ერთიან დრამატულ ატმოსფეროს. თვემის პოლიფონიურად და პარტონიულად დაძაბულ გატარებისას კვარტეტში გაისმის ჩაიკოსკისებური მძიმე „ამონებრანი“, პერიოდების დამთავრებისას — ხორალისებური კადანსები დამახასიათებელი შეკავებით. ანსამბლის ყოველი ინსტრუმენტი აქტიურად მონაწილეობს ნაწარმოებში მოცემული სულიერი მღელვარების დამაჯერებლად გადმოცემაში.

მეორე ნაწილი იწყება ალტის სოლოთი. აქ კომპოზიტორი მოხდენილად იყენებს ცნობილი ხალხური სიმღერის — „ნეტავი გოგოვ, მე და შენ“ მელოდიურ ინტონაციებს, რომელნიც ორგანულად ენასკვება ხორალისებურ ხმოვანებას. ამით კომპოზიტორი აღწევს შეტად რბილი, პოეტური სევდით გამსჭვალული მუსიკალური სა-

შევების შექმნას. ალეგრო ვივაჩედან მუსიკის მდინარებას სწყვეტს სკერცოზური ეპიზოდი, აგებული ხალხური ხასიათის თემაზე, იგი, თავისი მხიარული, უდარდელი ხასიათის ჩონგურისებური აკომპანემენტით (პიციკატო) მკვეთრად ხაზს უსვამს მთელს ნაწილში ასახულ ღრმა სევდიან განწყობილებას. მეორე ნაწილი თავდება დააჯიოთი, რომელსაც წინ უსწრებს ათტაქტიანი საორგანო პუნქტი სი-ზე, რისთვისაც კომპოზიტორი მოითხოვს ჩელოს ბანის სიმის ჭროს) ნახევარი ტონით დადაბლებას. დასკვნითი აკორდი, თავისი მაჟორული კადანსით, ერთგვარი შვების, სულიერი დაწყნარების შთაბეჭდილებას სტროვებს.

მესამე ნაწილია — მსუბუქი, სხარტი სკერცო, აგებული „ცანგალა და გოგონას“ თემაზე. სკერცოს ფაქტურაში აქა-იქ გამოკრთის „ო, საბრელას“ ინტიმაციები. შუა ნაწილში — ტრიომი-გამოყენებულია ხალხური სიმღერის — „ქვედრულა აღიდებულას“ მოტივები, რაც აძლიერებს სკერცოს ნათელ, უდარდელ ხასიათს.

ფინალში, სალტარელსებრ საცეკვაო რიტმზე $\left(\frac{12}{8}\right)$ ჩვლავ სმის „ნეტავი გოგოს“ მელოდიურად შეცვლილი მიმოქცევანი. ვარიაციული ფორმით დამუშავებული ეს თემა ტარდება ყველა ინსტრუმენტში. ფინალის და მთელი კვარტეტის კულმინაციამდე კომპოზიტორი იძლევა ხმოვანების თანდათანობით დინამიზაციას (მოლტო ესპრესივო, აჭიტატო) კანონური იმატაციის წესით გატარებულ ქმედით მოტივზე (I-ვოლოინოს და ჩელოს პარტიებში), რომელიც დ. არაყიშვილის რომანსის „შემოღამებას“ ინტიმაციებს ენათესავება. თვით კულმინაციური მომენტი კი (მენო მოსო) წარმოადგენს გულის სიღრმიდან ამოხეთქილ მწვავე ტრაგიული გრძნობას მძლავრ ფეთქებას, იმ სულიერი ტანკვის უკანასკნელ აზვირთებას, რომლის გაქარწყლება ან შენელება ვერ შესძლო ვერც ადაჯიოს ლირიკულმა ჩაფიქრებულობამ, ვერც სკერცოს ცხოველყოფელმა მხიარულებამ და ვერც ფინალის უდარდელშა, ოპტიმიზმით გაფერებულმა დასაწყისმა.

კვარტეტი უნაკლო როდია. მასში არ არის სათანადოდ გაშლილი სონატური ალეგრისათვის დამახასიათებელი ძირითადი მუსიკალური სახეების ინტენსიური მოტივურ-თემატიკური დამუშავება;



უფრო შედეგიანად და მეტის ეფექტურობით შეიძლებოდა პოლი-ფონიური ხერხებისა და ვარიაციული ტექნიკის გამოყენება; უოლ-კლორული მასალა მეტ მხატვრულ განზოგადოებას მოითხოვდა. მუსიკალური ენაც, სტილისტურად, შესაძლოა უფრო მთლიანი და გამართული ყოფილიყო. მაგრამ ყოველივე ეს „გამოსყიდულია“ ხა-ლასი გრძნობების, ფსიქოლოგიურ განცდათა გადმოცემის უშუალო-ბითა და გულწრფელობით.

უნდა ითქვას ისიც, რომ ერთია — ცოდნა კლასიკური საკვარ-ტეტო ლიტერატურისა; მეორეა — პრაქტიკულად შექმნა საკვარ-ტეტო უანრის სრულყოფილი ნიმუშებისა ეროვნული მუსიკის ნიადაგზე, და ისიც მაშინ, როდესაც, როგორც ამ შემთხვევაში, შ. თაქთაქიშვილს არავითარი მაგალითი მსგავსი ნაწარმოებებისა მის დროინდელ ქართულ მუსიკაში არ გააჩნდა. ამიტომა დიდად დასაფასებელი შ. თაქთაქიშვილის ღვაწლი, რომელმაც შექმნა პი-რველი დასრულებული ოთხნაწილიანი სიმებიანი კვარტეტი და ამით კამერულ ინსტრუმენტულ უანრს ქართულ ეროვნულ მუსიკაში მტკი-ცე საძირკველი ჩაუყარა.

არანაკლებ საგულისხმოა ისიც, რომ შ. თაქთაქიშვილმა პირ-ველმა გამოიყენა თავის შემოქმედებაში რიგი ისეთი ხალხური სიმ-ღერებისა („ნეტავი გოგოვ“, „დელი-დელა“, „ცანგალა და გოგონა“, „ოროველა“ და სხვ.), რომელნიც შემდეგში არაერთხელ გვხვდება. ასტრულად ჩაქსოვილი სახით სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებში.

პირველი კვარტეტი მნიშვნელოვანი მოვლენაა შ. თაქთაქიშვი-ლის შემოქმედებაში. იგი არა მარტო აჯამებს მის საკომპოზიტორო მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპს, არამედ ეროვნულ კამერულ მუსი-კას შემდგომი განვითარების გზებს უსახავს.

შ. თაქთაქიშვილის შემოქმედება მოიცავს მუსიკის სხვადასხვა უანრებს. იგია ავტორი ორი დიდი ოპერისა და ბალეტის, სიმფო-ნიების, სუიტების, მცირე ფორმის საორქესტრო პიესების, ვოკა-ლური ანსამბლების, სიმღერა-რომანსებისა და სხვ. ეს მოწმობს კომპოზიტორის მრავალმხრივ ინტერესს ეროვნული სამუსიკო ხე-ლოვნების თითქმის ყოველი დარგისადმი. მაგრამ არც ერთ მათგან-ში მას ისეთი უდავო დამსახურება არ მიუძღვის, როგორც კამერუ-ლი ინსტრუმენტული მუსიკის დარგში.



რახან ზემოდ მის პირველ კვარტეტს შევეხეთ, განვაგრძოს
შ. თაქთაქიშვილის კამერულ ნაწარმოებთა განხილვა.

კვარტეტი № 2 (სოლ მინორი, 1933 წ.) პირველს დაშორებულია სამი წ.ლით, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. მეორე კვარტეტის მუსიკა მოწმობს ავტორის პროფესიული ოსტატობის ზრდას. თემატური მასალა მასში უფრო დეტალურ დამუშავებას და მრავალმხრივ განვითარებას განიცდის. ეს ნაწარმოები, შედარებით პირველ კვარტეტთან, კონსტრუქციულადაც უფრო მკვრივი და მთლიანია. მაგრამ იგი მოკლებულია გულის სილრმიდან ამონადენ გრძნობათა გამოთქმის იმ უშუალობას, ალელვებულობას, გაშიშვლებული ნერვის თრთოლვას, რაც ესოდენ ძვირფასი და მომხიბვლელია მის პირველ კვარტეტში. როგორც ჩანს, კომპოზიტორმა, თავის მეორე კვარტეტში შეგნებულად შეზღუდა გრძნობათა გამოვლინება; სამაგიეროდ — გააძლიერა ნაწარმოების კონსტრუქციული მხარე, მეტის მთლიანობით ააგო კვარტეტის ოთხივე ნაწილი და გვამცნო თავისი საკომპოზიტორო ოსტატობის განუხრელი ზრდა.

შ. თაქთაქიშვილი ავტორია ორი ოთხნაწილიანი საფორტეპიანო ტრიოსი. პირველი მათგანი, (რე-მინორი) მიძღვნილი დ. ე. არაყიშვილისადმი, შექმნილია, 1944 წელს. პირველი ნაწილი ხასიათდება მძლავრი დრამატული დაძაბულობით. იგი აგებულია კონტრასტულ ემოციურ განწყობილებათა ამსახველ კონფლიქტურ თემებზე, რომელთაგან მთავარი-ქმედითი, ენერგიული ხასიათისაა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ნაწილის ღინამიკურ განვითარებაში; მეორე, დამხმარე თემა — ავტორის ლირიკული ბუნების დამახასიათებელი მღერადობით გამოირჩევა.

მუსიკალური ნაკადის აღმავლობის მომენტებში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ხმოვანებს არა ტრიო, არამედ სხვა მოზრდილი ინსტრუმენტული ანსამბლი—იმდენად იტაცებს მსმენელს ტრიოს მუსიკალური ენის მხურვალება და ხმათა ოსტატური შეხამება.

მეორე, ნელი ნაწილის მუსიკას, თავისი ნატიფი ჰარმონიული ნიუანსებით, შუქ-ჩრდილის თამაშით, შთამბეჭდავი მღერადობით

თოთქოს ზღაპრულ ზმანებათა სამყაროში შევყევართ. რაც შეეხება ცოცხალ, მჩეულებელ სკერცოს, იგი გამოირჩევა მხიარული, ცხოველყოფელი იერით, სიკედლუცითა და ელფეროვნებით.

ტრიოს ფინალში გატარებულია პირველი ნაწილის მთავარი ოემის მონათესავე მუსიკალური მასალა. ერთხელ კიდევ გამოჩნდება განვლილი ფსიქოლოგიური ლრამის გამოძახილები, მაგრამ საბოლოოდ იმარჯვებს ოპტიმისტური საწყისი, ლრმა რწმენა ცხოვრების შემოქმედებითი ძალებისადმი.

დაახლოებით ასეთივე იდეურ-ემოციური შინაარსისაა კომპოზიტორის მიერ 1945 წელს შექმნილი მეორე საფორტეპიანო ტრიო (ლა მინორი), რომელშიაც ავტორს ოსტატურად აქვს გამოყენებული ამ ფორმის დამახასიათებელი მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებანი.

ამავე შემადგენლობისათვის არის დაწერილი „ცეკვა“ (1939 წ.) — ერთნაწილიანი ჟანრული ხასიათის პიესა.

საცეკვაო ფორმებისადმი მისწრაფება ჩანს აგრეთვე 1946 წელს დაწერილ საცეკვაო სუიტაში სიმებიანი კვარტეტისათვის. მასში მოცემულია სამი ხალხური ცეკვა: ხორუმი, ისური და ქართული, რომლებშიაც გამოყენებულია ამ ცეკვების დამახასიათებელი მეტრულ-რიტმული საფუძველი, ხოლო მელოდიკურად ორიგინალურ პიესებს წარმოადგენენ.

შ. თაქთაქიშვილს შექმნილი აქვს 50-მდე სოლო ინსტრუმენტული პიესები ვიოლინისა, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. იგი როგორც ვიოლინისტი, საფუძვლიანად იცნობს ამ ინსტრუმენტის გამომსახველ საშუალებებს, ვიოლინოს მოქნილი, გამომსახველი მელოდიურობის ბუნებას. შემთხვევითი როდია, ამიტომ, დამწყები კომპოზიტორის მიმართვა საყვარელი საკრავისადმი, რომლისთვისაც იგი, ჯერ კიდევ 1922 წელს, ქმნის მცირე ფორმის, ნაზი მელოდიურობით გამორჩეულ პიესას — „ზღაპარი“. ათი წლის შემდევ წერს მოხდენილ სკერცოს, ხოლო 1939 წელს — აზერბაიჯანულ და სომხურ ცეკვებს, რომელთაგან პირველი უფრო მეტი მხატვრული ღირებულების მქონეა, ვიდრე მეორე. ბოლო წლებში შექმნილ

სავიოლინო პიესებიდან აღსანიშნავია „ალბომი ბავშვთათვის“ და სკრტც № 2.

მართალია, ჩელოს დაკვრას შ. თაქთაქიშვილი არ ფლობს, მაგრამ მისი ძმის, ერთ დროს გამოჩენილი ვიოლონჩელისტის, პირველი ქართული კვარტეტის წევრის — გიორგი თაქთაქიშვილის მეოქებით იგი ისევე გაცნობილია ამ საკრავს, როგორც ვიოლინის, მით უმეტეს, რომ ორთავე ინსტრუმენტს ბევრი რამ აქვს საერთო.

ჩელოსათვის კომპოზიტორს დაწერილი აქვს ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, მათ შორის — ულრმესი ემოციურობის გამომხატველი „მწუხარება“ (1926). 36 წელმა განვლო ამ პიესის შექმნიდან, მაგრამ მას დღემდე არ დაუკარგავს მსმენელზე მძლავრი ზეგავლენის ძალა.

ამ პიესასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ეპიზოდი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

1943 წელია. მატარებლით მოსკოვიდან თბილის ვბრუნდები. ოდესლაც აყვავებული დაბა-ქალაქები, ახლა, მთელი გზის მანძილზე ფაშისტ დამპყრობელთა ურდოების მიერ გადამწვარგადაბუგულნი, საზარელ სანახობას წარმოადგენდა. დღის 4 საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი ჩრდილო-კავკასიის ქალ კავკახ-სკაიას მიადგა. მაგრამ სადღაური? მის ნაცვლად — გაპარტახებული, მიწასთან გასწორებული მიღამო. მხოლოდ ქვიშად ქცეული, ცეცხლის მიერ გაშავებული აგურის და თეთრი ქვის ნამსხვრევები ღა მოწმობდნენ იმას, რომ ოდესლაც აქ რკინიგზის სადგურის დიდი შენობა იყო.

ამ დროს, მძლავრ რეპროდუქტორში, მოსკოვის რადიოსადგურის გადმოცემით, გაისმა... შალვა თაქთაქიშვილის „მწუხარება“! ჩელოს ღრმა და შთაბეჭდილი ხმოვანება აზვირთებულ ტალღებივით ეფინებოდა იქაურობას. რა არ ისმოდა ამ პატარა, მაგრამ გულწრფელი ემოციურობით აღსავს პიესაში: მოთქმა, გოდება, გულის სილრმიდან მონადენი მწუხარება. დაღმავალ მელოდიას — გამომსახველი რეჩიტაცია სცვლის. შუა ეპიზოდში გაიელვებს ნათელი სევდის ბურუსით მოსილი ჰანგი, როგორც წუთიერი მოგო-

ნება წარსულის ბედნიერებაზე და... კვლავ წუხილი, კვლავ ზარისე-ბური, ღონემიხდილი დაქანება დასკვნითი ეპიზოდისა.

შევამჩნიე, რომ სადგურზე დამხდურნი და „ბაქანზე“ გამოსული მგზავრები სულგანაბულნი უსმენდნენ ქართველი კომპოზიტორის ამ შესანიშნავ ქმნილებას. ჩელოს მიერ უსიტყვილ გადმოცემული განწყობილება უშუალო გამოძახილს პოულობდა მათს შეგრძებაში, რადგან, იმ მომენტში ს მენი ლი პირდაპირ ესატყვისებოდა ხილულს....

ეს პიესა კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, თუ რა ძლიერი ემოციური ზეგავლენის მქონეა ალალი გულით შექმნილი მხატვრული ნაწარმოები და რაოდენ მძლავრად იტაცებს აღამიანს ხელოვანის გულწრფელი გამონათქვამი....

ოთხი წლით აღრე ჩელოსათვის დაწერილია პატარა პიესა „ნანა“; 1930 წელს შექმნილია „ვალსი“, 1938 წელს — „მელოდია“; ჰოლო 1944 წელს — „ალბომი ბავშვთათვის“.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მცირე ფორმის საფორტეპიანო პიესები, რომელთაც, სავიოლინო და სავიოლენჩელო პიესებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეში.

1930—1960 წლებში შ. თაქთაქიშვილს შექმნილი აქვს როგორც ცალკეული საფორტეპიანო პიესები, ისე მათი კრებულები. პირველს მიეკუთვნებიან: მარში, მეგრული სიმღერა, ცეკვა ქართული, ბზრიალა, სახუმარო და სხვ.; კრებულიდან იღსანიშნავია „ბავშვთა სამყარო“ (ათი პიესა, 1930 წ., სხვადასხვა წლებში გამოცემული ოთხერ), „ალბომი ბავშვთათვის“ (ხუთი პიესა), „ბუნების სურათები“ (ხუთი პიესა), ათი ვარიაცია, „ბავშვებს“ (მსუბუქი პიესების კრებული), საშუალო სიძნელის სამი სონატინა. მეტი წილი ამ კრებულებისა გამოცემულია 3—4-ჯერ, რაც მოწმობს მათ პოპულარობას. ამასვე მოწმობს ისიც, რომ რიგი იმ პიესებისა, საკავშირო კულტურის სამინისტროს მიერ, შეტანილია სამუსიკო სასწავლებლებისა და სკოლების პედაგოგიურ რეპერტუარში.

შედარებით როული საფორტეპიანო ფაქტურით და იმპრესიონისტული ხერხების გამოყენებით ხასიათდება „ბუნების სურათები“



(გინსაკუთრებით — „შუქი მთაში“, „მზე ამოდის“ და „გაზაფხული“), დანარჩენ კრებულებში კი, ოუმცა ყოველთვის როდია დაცული მუსიკის ეროვნული კოლორიტი, მაგრამ მათი მხატვრული ღირსება მაინც უკეთესა.

კამერულ ინსტრუმენტული ნაწარმოებების პარალელურად შ. თაქთაქიშვილი ქმნის სიმფონიურ ნაწარმოებებსაც. პირველ ხანებში ეს არის მცირე ფორმის პიესები: „ოროველა“ (1939), „ბავშვთა სამყარო“ (1930, რაც წარმოადგენს 10 საფორტეპიანო პიესის გაორკესტრებას), 4-ნაწილიანი „ლირიკული ფრაგმენტები“ (1930), საბაგშვი სუიტა და „სურათები ბავშვებისათვის“ (1937). ყველა ეს უპრეტენდიო საორკესტრო პიესები მიეკუთვნებიან პროგრამულ მინიატურებს, რომლებშიაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი უანრულ სურათებს, ჰეიზეს და ცეკვას. განცალკევებით დგას „პოემა 1905 წელზე“ (რასაც ზემოდ შევეხეთ) და ორი სუიტა ბალეტ „მალთაყვას“ მუსიკიდან.

რაც შეეხება საკუთრივ სიმფონიურ ნაწარმოებებს, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან: საზეიმო უვერტიურა (1945), გმირული უვერტიურა (1949) და სიმფონიეტა (1953, 4 ნაწილი).

საზეიმო უვერტიურა დაწერილია სონატური ალეგროს ფორმით. დრამატულად დაძაბულ მთავარ თემას უპირისპირდება ლალი, მარშისებური თემა, რომელსაც, მუსიკის მთელი ნაკადი, დასკვნით თემისაკენ მიჰყავს. ამ უკანასკნელის ბრწყინვალე, საზეიმო ხმოვანებით მთავრდება უვერტიურა, რომელიც გამოხატავს საბჭოთა აღამიანების გმირობას, მათ ოპტიმისტურ სულისკვეთებას.

ოთხნაწილიანი სიმფონიეტა (1953), მიღვნილი ივტორის მიერ თავისი ქალიშვილის — ნინოსადმი, პროგრამული ნაწარმოებია. როგორც უანრის განსაზღვრიდან ჩანს, კომპოზიტორს მიზნად ჰქონდა დასახული დაეწერა არა შინაარსით და ფორმით რთული სიმფონიური ნაწარმოები, არამედ მცირე მასშტაბის საორკესტრო პიესა, ძირითადად — სუიტის ტიპისა. მართლაც, შ. თაქთაქიშვილის სიმფონიეტა (ესეც — ამ უანრის პირველი ნიმუში ქართულ მუსიკაში) წარმოადგენს მუსიკალურად ასახული ნორჩ პიონერთა ცხოვ-

რებიდან აღებულ ეპიზოდების და მშობლიური ბუნების სურათების მონაცემების.

მაღალი მთის ფერდობი პიონერებითაა მოფენილი. ისმის ბავშვთა ურიამული. იმართება თამაშობანი, ფიზკულტურული გარჯოშობანი. ერთად გასწევენ მახლობელ კოლმეურნეთა მინდორ-ველზე, ბალ-ბოსტნებისაკენ რათა, შეძლებისამებრ, დაეხმარონ მშრომელთ. ასეთია, ავტორის აზრით, პირველი ნაწილის შინაარსი. იგი დაწერილია სონატური ალეგროს ფორმით, აგებულია ახალგაზრდულად ენერგიულ, მღერად ლირიკულ და მარშისებურ თემებზე. ცხადის, რომ მუსიკალურ სახეთა კონფლიქტურობაზე ან მასალის დინამიკურ განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან თვით უდარდელი შინაარსი ამ ნაწილისა მუსიკის არავითარ დაძაბულობას არ მოითხოვს.

მეორე, ნელი ნაწილი — ღამის ბუნების პოეტური სურათია. დიადი, დაწყნარებული ბუნების წიაღში სძინავს პიონერთა ბანაკს. მაღლა ცაზე ვარსკვლავები კიაფობენ. შორს მთაში ცეცხლის შუქი გამოკრთის..

სკერცო იწყება ხალხური სიმღერის თემით — „თებრონე მიდის წყალზედა“, რაც მოხდენილადაა დამუშავებული ორკესტრის სიმებიანთა ჯგუფში. მას მოსდევს კეკლუცი, საცეკვაო ხასიათის ეპიზოდი. ეს ნაწილი მთლიანად გადმოსცემს პიონერთა ფერხულს, მათ ცეკვა-თამაშს.

ღამდება. პიონერები მწვერვალისაკენ მიიმართებიან ამომავალი მზის შესახვედრად. თვალწინ დიადი ბუნების გრანდიოზული სურათი გადაიშლება. ნელა, დინგად ამოდის მნათობი, რომლის იქროს-ფერი სხივები გაანათებს არე-მარეს. ეს ფინალური ნაწილი კომპოზიტორს გადმოცემული აქვს მარშისებური და საცეკვაო ხასიათის თემებით. დასასრულ, მთელი ორკესტრის მძლავრი ხმოვანება ასახავს მზის ამოსვლის შთამბეჭდავ, გრანდიოზულ სურათს.

ეს საინტერესო ნაწარმოები — პირველი ქართული „პასტორალური სიმფონიეტაა“, რომლის ოთხივე ნაწილში, მხატვრული და-მაჯერებლობის ძალით, ავტორს გადმოცემული აქვს მშობლიური



ბუნების სურათები და ამ ელფეროვან ფონზე — ბავშვთა უდარდელობა, მათი სპეტაკი სულიერი სამყარო.

აქამდე შ. თაქთაქიშვილი, ბავშვთათვის შექმნილ პიესებს, უმთავრესად, კამერული მუსიკის მინიატურულ ფორმებში წერდა. 1933—1937 წლებში შექმნილი „საბავშვო სუიტა“ და „სურათები ბავშვთათვის“ (წისქვილი, ფრინველთა ეზო, მწყემსი, ბინდი, მარში), დაწერილი მცირე ორკესტრისათვის, წარმოადგენენ, მსგავსად „ბავშვთა სამყაროს“ 10 პიესისა, კამერული პიესების გაორკესტრების მაგალითს. სიმფონიეტაში კი კომპოზიტორმა მიმართა ორკესტრს და მოხდენილად გამოიყენა მისი გამომსახველი საშუალებანი.

სიმფონიური მუსიკის დარღვი შ. თაქთაქიშვილს შექმნილი აქვს აგრეთვე რამდენიმე ინსტრუმენტული კონცერტი ორკესტრის თანახლებით, რომელთა შორის უჟველი ლირსებებით გამოიჩინა: კონცერტი № 2 ჩელოსათვის და კონცერტინო ფორტეპიანოსათვის. მათზე გაცილებით ადრე — 1932 წელს — დაწერილია ჩელოს პირველი კონცერტი (მეორე რედაქცია — 1949 წ.). მღელვარე ემოციების გამომხატველ პირველ ნაწილს სცენის მარტივი სამნაწილიანი სკერცო. ანდანტე, რომლის ინტონაციები მოგვავონებენ ჩაიკოვსკის ლირიკულ თემებს, უშუალოდ გადადის პრესტოში. უკანასკნელი ეხმაურება მენდელსონის „იტალიური სიმფონიის“ ფინალს (სალტარელა). ასეთოვე რიტმულ საფუძველზეა აგებული მისი პირველი კვარტეტის ფინალიც.

რაც შეეხება შ. თაქთაქიშვილის მეორე კონცერტს ჩელოსათვის ორკესტრის თანხლებით, იგი დაწერილია 1960 წელს. კონცერტი ურთნაწილიანია, თუმცა ამ ურთნაწილიანობაში აღვილად შეიგრძნობა ფარული ციკლიურობა. ეს ნაწარმოები, როგორც თავისი მუსიკალური ლირსებით, ისე საკომპოზიციო ოსტატობის გამომჟღვნებით გაცილებით მაღლა დგას არა მარტო ჩელოს პირველ, არამედ სხვა, წინა პერიოდში შექმნილ კონცერტებზედაც.

ნაცვლად უბრალო გომოფონური ფაქტურისა, ამ კონცერტში შედარებით ფართოდა გამოყენებული პოლიფონიური ხერხები, ჰარმონიული ენაც უფრო ნაირფეროვანი და კოლორიტულია. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ძირითადი (საწყისი) თემის ენერგიული

გატარება თითქმის მთელი კონცერტის მანძილზე, რითაც მიღწეულია კონცერტის ფარული ციკლიურობის (სამნაშილიანობის) მთლიანობა.

მიუხედავად საფორტეპინო კონცერტინოს (1959) მცირე მოცულობისა, იგი, თავისი მხატვრული ღირსებებით, უფრო მაღლა დგას, ვიდრე სრული სამნაშილიანი კონცერტი ფორტეპინოსა და ორკესტრისათვის (1957). კონცერტინოში აღსანიშნავია თემატურა მასალის გამომსახველობა, მელოდიკურ და ჰარმონიულ მიმოქცევათა ერთგვარი სიახლე და ნათელი, გამჭვირვალე ფორმა. კარგად არის გამოყენებული იგრეთვე ფორტეპინოს ტექნიკური შესაძლებლობანი, თუმცა დიდ სირთულეს ამ მხრივ აქ ადგილი არა აქვს.

1941—1952 წლებში შ. თაქთაქიშვილს დაწერილი აქვს ოთხი მარში: „სალაშქრო“, „კავკასიის გმირებს“ (1942), „საზეიმო მარში“ და „მშობლიური ველები“. ყველა ეს ნაწარმოებები არაერთხელ ჟესრულებულა ამიერკავკასიის ჭარის ნაწილების სასულე ორკესტრების მიერ.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება საოპერო უანრს, განსაკუთრებით—თანამედროვეობის თემაზე აგებულ მუსიკალურ-დრამატიულ ნაწარმოებს მასების იდეოლოგიურად აღზრდის საქმეში. შალვა თაქთაქიშვილი, როგორც მოწინავე კომპოზიტორი და პროგრესული ხელოვანი, არ შეიძლება არ დაინტერესებულიყო საბჭოთა ოპერის შექმნით.

1939 წელს შ. თაქთაქიშვილმა დაიწყო მუშაობა ოპერაზე „დეპუტატი“ გ. თაქთაქიშვილის ლიბრეტოზე.

„დეპუტატის“ მოქმედება სწარმოებს ომისწინა პერიოდში და გამოხატავს საბჭოთა ადამიანების საქმიან და საყოფაცხოვრებო ურთიერთობას. ოპერა ახლებურად სვამს მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: საბჭოთა მორალი; ადამიანთა დამოკიდებულება პირადისა და საზოგადოებრივისადმი; ფარული ფორმა ძველსა და ახალის შორის ბრძოლისა; პარტიის, კოლექტივის როლი საბჭოთა ადამიანების შეგნების გარდაქმნაში და ა. შ. როგორც გხედავთ, ოპერის ავტორებმა მიზნად დაისახეს საკმაოდ რთული ამოცანების გადაწყვეტა. ბევრი რამ „დეპუტატში“ სერიოზულ ყურადღებას



იმსახურებდა. რაც შეეხება მუსიკას, მეტი წილი სოლო და განსა-
კუთრებით საგუნდო ეპიზოდებისა დადებითი შეფასების ღირსი
იყო.

შ. თაქთაქიშვილი, როგორც ბუნებით ლირიკოსი და ფსიქო-
ლოგიურ განცდათა ასახვისადმი განწყობილი კომპოზიტორი, ისეთ
სცენებში იყო ძლიერი, სადაც მას უნდა გადმოეცა ამა თუ იმ გმი-
რის სულიერი განწყობილება, მძლავრი ემოციური ორგავლობა და
სხვ. ამ მხრივ გამოიჩინევა ნაწილი — ოპერის მთავარი პერსონაჟის—
მთელი რიგი არიებისა („შფოთავს გული, აღლვებული“, უკა-
ნასკნელი სცენა ექიმ მენაბდესთან და სხვ.), მენაბდეს არია ფინალ-
ში, დეიდა დორას არია („ერთხელ ვიხილე“) და ა. შ.

ოპერა „დეპუტატი“ დაიდგა თბილისის თეატრის სცენაზე
1940—1941 წლის სეზონში. დირიჟორობდა შ. აზმაიფარაშვილი,
დადგმა ეკუთვნოდა შ. აღსაბაძეს, მხატვრული გაფორმება ი. შარ-
ლემანს. ოპერაში მონაწილეობდნენ საუკეთესო არტისტული ძა-
ლები: ნ. ცომაია, ე. სოხაძე, დ. ანდრულაძე, დ. გამრეკელი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ „დეპუტატს“ ხანგრძლივი სცენური
არსებობა არ ხდდა წილად, მან მაინც გარკვეული როლი შესარულა
ქართული საბჭოთა ოპერის წარმოქმნისა და განვითარების საქმე-
ში. ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა „დეპუტატის“ როგორც დადე-
ბით თვისებებს, ისე ნაკლოვანებებსაც. ხოლო თვით ფაქტი საბჭო-
თა თემაზე პირველი საოპერო ნაწარმოების შექმნისა სხვა
ქართველ კომპოზიტორებისათვის მისაბაძ და წამახალისებელ მა-
გალითად იქცა.

1940 წელს შ. თაქთაქიშვილმა დაიწყო შექმნა მეორე, ლირი-
კულ-ფსიქოლოგიურ ოპერისა „ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავა-
ძის ცნობილი მოთხრობის მიხედვით. (ლიბრეტო გ. თაქთაქიშვი-
ლის). ცხრა წლის შემდეგ კომპოზიტორი ხელმეორედ დაუბრუნდა
ამ ნაწარმოებს, ჩაატარა ახალი რედაქცია, მაგრამ „ოთარაანთ
ქვრივი“ ჯერ საოპერო სცენაზე არ დადგმულა.

„მალთაყვა“* — პირველი ქართული ბალეტია, დაწერილი საბოლოოს სინამდვილის ამსახველ სიუჟეტზე (ლიბრეტო გ. თაქთაქიშვილის). ამ ნაწარმოების შექმნას შ. თაქთაქიშვილი შეუდგა 1937 წლს, ხოლო ერთი წლის შემდეგ 4 მოქმედებიანი ბალეტი „მალთაყვა“ დაიდგა თბილისის ცენტრზე. დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი, დამდგმელი-რეჟისორი იყო ა. თაყაიშვილი, ბალეტმეისტერები — ვ. ლიტვინენკო და დ. ჯავრიშვილი, მხატვარი — თამარ აბაკელია. მთავარ როლს ბალეტში ასრულებდა ლილი გვარამაძე. გარდა თბილისისა, „მალთაყვა“ დაიდგა ლენინგრადში, 1939 წელს.

„მალთაყვაში“ მთელი რიგი ცეკვებია (შრომის, შეთქმულთა, ხორუმი, ლეკური, აზერბაიჯანული, სომხური და სხვ.), რომელნიც დადებით შეფასებას იმსახურებენ. მაგრამ ცალკეული ცეკვები როდი წყვეტენ ბალეტის, როგორც მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნაწარმოების, იდეური და მხატვრული ღირსების საკითხს. ლიბრეტოს მიამიტი სიუჟეტური საფუძველი, სუსტ ღრამატურგიასთან ერთად, კლასიკური და ხალხური ცეკვების აღრევა, მუსიკალური ენის სიჭრელე და სხვა, რა თქმა უნდა, ხელს არ შეუწყობდა ბალეტის ხანგრძლივ წარმატებას. ის ფაქტი, რომ „მალთაყვა“ 18-ჯერ იქნა შესრულებული, მოწმობდა ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს თანამედროვეობის თემაზე აგებულ საბალეტი ნაწარმოებისადმი. ამ მხრივ, „მალთაყვას“ მნიშვნელობა, როგორც პირველი ქართული საბჭოთა ბალეტისა, ეჭვს გარეშეა.

* მოკლე შინაარსი: საუკუნეებით დაჭაობებული კოლხეთის დაბლობი. მოსახლეობას არ სცილდება ავადმყოფობა (მალარია), სიღრიბე, გაჭირვება. საბჭოთა ადამიანები იწყებენ ბრძოლას ჭაობების ამოშრობისათვის. მით მხარეზეა ციალა — შეძლებული გლეხის იულინის გლეხის ამოშრობისათვის. მათ კიალას მეგობარი და სოფლის სხვა ახალგაზრდობა. ციალას შეიძყრობს მძიმე სენი — მალარია. დივერსანტები ააფეთქებენ დამბას, ახალგაზრდა მოწინავე კოლმეურნეს — დათის მოუწყობენ უბედურ შემთხვევას, თავს ესხმიან შესნებლობის უფროსს — ახალკაცს. მაგრამ კიალას ეჭიმები გადარჩენს. მტრებს შეიძყრობენ. იულინი და მონალიზე კოსტრა ჩაებმებიან სახალხო მშენებლობაში.

სოციალისტური შრომის შედეგად კოლხეთის დაბლობი სახეს იცვლის. ჭაობების ადგილზე ციტრუსოვანთა შესანიშნავი ბალები აშენდა. ახალკაცი, მისი საცოლე ციალა, მშენებლებთან ერთად, ზეიმობენ სოციალისტური შრომის გამარჯვებას.

შ. თაქთაქიშვილის შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ვოკალურ ლირიკას. შეიძლება ითქვას; რომ კამერულ ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა შემდეგ, სიმღერა-რომანსის სფეროში კომპოზიტორს არაერთი საყურადღებო ნი-მუში აქვს შექმნილი.

შ. თაქთაქიშვილმა თავისი შემოქმედებითი ნიჭი პირველად (1921) სიმღერის („ნანა“) შექმნით გამოავლინა. მას შემდეგ, თით-ქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე, კომპოზიტორს არ შეუწყვე-ტია ამ დარღვი მუშაობა.

როგორც აღვნიშნეთ, შ. თაქთაქიშვილი, თავისი შემოქმედები-თი ბუნებით, ლირიკოსია. ამიტომაც, დიდი უმრავლესობა მისი ცალფა ვოკალური ნაწარმოებებისა ფაქიზი ლირიზმითაა გამსჭვა-ლული.

შ. თაქთაქიშვილი — განწყობილების ადამიანია. ამიტომაა, რომ პოეტური ტექსტის შერჩევაში იგი რაიმე გარკვეულ მიზანსწრაფ-ვას, თემატიკისადმი პრინციპულ მიღვიმას არ ამჟღავნებს. ამით აიხსნება ისიც, რომ მისი სიმღერები და რომანსები აგებულია სხვადასხვა ეროვნების, საუკუნის და მიმართულების პოეტთა ნა-წარმოებებზე, როგორიცაა, მაგალითად: ბალმონტი და რაფიელ ერისთავი, სუვერნიკოვი და პუშკინი, ა. წერეთელი და კაჭახიძე, სპერანსკი და გ. ტაბიძე ან ი. ჭავჭავაძე და იაბონელი პოეტი იამარტო და სხვა. მის სარომანსო ლირიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა პოეზიას (ნონეშვილი, ლეონიძე, ჩიქო-ვანი, გორგაძე, აბაშელი, მარიჯანი). ამასთან, წმინდა ლირიკულ სა-ტრფიალო სიუჟეტთან ერთად, ვხვდებით ზოგად სოციალურ თე-მებსაც.

შ. თაქთაქიშვილის სიმღერა-რომანსები, მათი მუსიკალური ხა-რისხის მხრივ, თანაბარი ლირებულების როდია. ადრინდელ სიმღე-რებში იგრძნობა კომპოზიტორის მისწრაფება — დაეუფლოს ქარ-თულ მუსიკალურ ფოლკლორულ მასალას, საფუძვლად დაუდონს იგითავის შემოქმედებას. მაგრამ აქ უფრო ამ მასალისადმი დამორ-ჩილებას აქვს ადგილი, ვიდრე მის შემოქმედებითად დაძლევას.

ბოლო წლების სიმღერებში („სოფლად“, „ბედო, შავპირო“.



„არ დაიდარდო დედაო“, „დასტრუის ვარდსა“, „მამა და შვილი“ და სხვ.) აშეარად იგრძნობა კომპოზიტორის მიერ ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელი ინტონაციურ და ჰარმონიულ მიმღეცევათა ორგანულად ათვისების ცდა, რაც განსაკუთრებით საკადანსო ბრუნვებში ჩანს. მაგრამ, ამავე დროს ვხვდებით მთელ რიგ სიმღერებს („გაზაფხულის სიმღერა“, „ტაძარი ყაზბეგზე“, „გუზაფხული“, „მაისის სიმღერა“, „კაკლის გამყიდველი ბავშვი“ და სხვ.), რომელიც აგებულია რუსულ და „ზოგადევროპულ“ მელოდიურ-ინტონაციურ სვლებზე სათანადო ჰარმონიული თანხლებით.

შ. თაქთაქიშვილის ვოკალური ლირიკის საუკეთესო ნიმუშს მიეკუთვნება შესანიშნავი რომანსი „რისთვის მიყვარხარ?“ ი. ჭივჭავაძის ტექსტზე. იგი მნიშვნელოვანი ქმნალებაა არა მარტო ავტორის შემოქმედებაში, არამედ ქართული საბჭოთა რომანსის საყურადღებო შენახენიცაა.

შესავალ ტაქტებშივე კომპოზიტორი ქმნის შენაგაზი აღელვებულობის ატმოსფეროს. აზვირთებულ ტალღებივით გუგუნებს არპეგირებული პასაურები ბანის პარტიაში, რომლის ფონზე გაისმის გარეგნულად თავშეკავებული, მაგრამ შინაგანი განცდებით გაჭერებული პირველი ფრაზები: „რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ ცრემლსა პბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული“. მაგრამ, პირველი კულმინაციის შემდეგ („ეს გული“), ავტორი აღარ მალავს აღელვებულობას: მელოდიური ხაზი, მთელს თანხლებასთან ერთად, სულ უფრო დაძაბული ხდება. მძლავრ აღმაფრენას, სიტყვაზე — „მიყვარხარ“, მოსდევს მელოდიის დაქანება, რათა უკანასკნელად (სიტყვაზე „სიცოცხლესა!“) განამტკიცოს რომანსის მუსიკალური და შინაარსობრივი კულმინაცია.

შ. თაქთაქიშვილს არცერთ თავის სხვა ვოკალურ ნაწარმოებში არ მიუღწევია შინაარსის და ფორმის ესოდენ ბუნებრივი შერწყმისათვის, როგორც ამ რომანსში, რომელიც დაწელალია განეკვთი კომპოზიციის ფორმით.

სხვა ვოკალურ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია შ. თაქთაქიშვილის „ვოკალიზი“, დაწერილი საფრანგეთის გამომცემლობა



ლედიუქის მიერ გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით. ამ კონკურსში ბევრმა კომპოზიტორმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის საქართველოდან — დ. არაყიშვილმა და შ. თაქთაქიშვილმა. უკანასკნელის „ვოკალიზი“ (ისე, როგორც დ. არაყიშვილის) მოწონებული იქნა კონკურსის უფრის მიერ; ამასთან დაკავშირებით კონკურსის მდიგანი — ჰეტიში ავტორს წერდა:

„ძვირფასო მაესტრო! მივიღე თქვენი ფრიად მუსიკალური და ამდენადვე ხმისათვის მოხდენილი ვოკალიზი; იგი გამოიჩინა საინტერესო ჰარმონიით, მხატვრული მომხიბელელობით და პოეტურობით, რაც მე მასში შევიგრძნე. მე თქვენ მხურვალედ გილოცავთ. გამომცემლობა ლედიუქი გიგზავნით ანგარიშს და გთხოვთ დაუბრუნოთ იგი ხელმოწერილი, რათა მაშინვე გამოგეგზავნოს თქვენ ვოკალიზისათვის დაწესებული ჰონორარი 500 ფრანგის რაოდენობით. მიიღეთ ძვირფასო მაესტრო მილოცვები და დარწმუნებული ბრძანიშვილი ჩემს თქიენდამი მაღალ და გულწრფელ გრძნობებში. ჰეტიში, 23 ოქტომბერი, 1930 წელი.“

შ. თაქთაქიშვილს დაწერილი აქვს აგრეთვე ორი დუეტი და 15-მდე საგუნდო ნაწარმოები, უმთავრესად ქართველი პოეტების ტექსტები. მასვე ეკუთვნის ვ. კატევის ტექსტზე რადიო-პიესის „წინ, დროვ!“ და ფიზკულტურული პიესის „ძველს ელადაში“ მუსიკალური გაფორმება (ბათუმი, 1928 წ., ტექსტი და დადგმა დ. ჯავრიშვილის).

სერიოზულ ინტერესს წარმოადგენს შ. თაქთაქიშვილის შრომები, წაკითხული თბილისის კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრაზე და მუსიკალურ სასწავლებლებში. თავის მოხსენებებში ავტორი, მრავალწლის პირად გამოცდილებას საოპერო სტუდიაში მუშაობის ხაზით, უზიარებს კოლეგებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას. ასეთია მისი შრომები: „ლიტბაშას სახე რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში „მეფის საცოლე“ (1949), „მალხაზის სახე ზ. ფალიაშვილის „დაისში“ (1950), „დიდი რუსი მომღერლისა და მსახიობის შალიაპინის შესახებ“ (1951), „გუნდები ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ (1952), „კონცერტმეისტერის ძუშაობა ვოკალისტთან საოპერო პარტიის შესწავლისათვის“ (1953);

„დონ-ხოზეს მუსიკალურ-სცენური სახე ბიზეს „კარმენში“ (1954) და სხვ. მასვე ეკუთვნის რიგ ქართულ ვოკალურ ნაწარმოებთა რესული თარგმანები.

შ. თაქთაქიშვილის, როგორც მოწინავე ხელოვანი, ნიადაგ ახლის ძიებაშია. მის სახელთანაა დაკავშირებული პირ ველობა ეროვნული მუსიკის მთელ რიგ უანრებში, როგორიცაა: კვარტეტი, საბჭოთა ოპერა და ბალეტი, საბავშვო ოპერა, კამერული ინსტრუმენტული სოლო პიესები, სიმფონიეტა; მან პირველმა შემოიტანა რევოლუციური თემატიკა პროგრამულ სიმფონიურ მუსიკაში. მაგრამ პიონერი ახალ უანრთა დამკვიდრებაში, იგი მაინც ტრადიციონალისტად რჩება თავის შემოქმედებაში.

შ. თაქთაქიშვილმა, როგორც კომპოზიტორმა, მეტად რთული და შემოქმედებითი ძიებით დაძაბული გზა განვლო. ზოგადევროპულ მუსიკალურ კულტურაზე აღზრდილი ხელოვანი დიდხანს იმყოფებოდა ამ კულტურის უშუალო ზეგავლენის ქვეშ, რაც ადრინდელი პერიოდის და ზოგიერთ მის თანამედროვე ნაწარმოებებშიაც პოულობს გამოვლინებას. მაგრამ კომპოზიტორმა, ხალხურ სასიმღერო მასალაზე დაყრდნობით და მის თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, საკუთარი მუსიკალური ენის შემუშავებაში საგრძნობ წარმატებებს მიაღწია.

შეიძლება ვიდავოთ შ. თაქთაქიშვილის მუსიკალური სტილის არასაკმაო თვითმყოფადობაზე. მაგრამ უდავო ის, რომ ყოველ თავის ნაწარმოებში კომპოზიტორი, პირველ ყოვლისა, გვევლინება ფრინად დახელოვნებულ ოსტატად, გულწრფელ, გრძნობიერ, ცხოვრებისა და ადამიანთა მოყვარულ ხელოვანად. განსაკუთრებით სათუთად გრძნობს იგი ბავშვთა სპეტაკ სამყაროს, რომლის მუსიკალურ გამოსახვას მან არაერთი ლირსშესანიშნავი ნაწარმოები უძღვნა.


ამავე დროს, შ. თაქთაქიშვილი ყურადღებას იპყრობს ისეთი ნაწარმოებებით, რომლებშიაც გაღმოგვცემს დაძაბულ ფსიქოლოგიურ განწყობილებებს, შინაგან აღელვებულობას. ამას ნათლად

მოწმობს მისი კვარტეტი № 1, რომანსი „რისთვის მიყვარხარ“? აღმოჩეული არიები „დეპუტატი“-დან და სხვ.

შ. თაქთაქიშვილი — მკვეთრად გამოხატული ლირიკოსი და კა-
ბერულობის ღრმად შემგრძნობი კომპოზიტორია. ამიტომა, რომ
დიდი ფორმის ნაწარმოებებშიც კა იგი, ასეთი ბუნების მქონე მუ-
სიკოს-ხელოვანის სწორედ ამ თვისებებს ამჟღავნებს და ყველაზე
უფრო სრულად სწორედ აქ ვლინდება მისი შემოქმედებითი შეობა.

ძნელია, რა თქმა უნდა, მოკლე მონოგრაფიულ ნარკვევში ყო-
ველივე იმის აღწერაც კი, რაც შ. თაქთაქიშვილს განვლილი 40
წლის მანძილზე გაუკეთებია.

შ. თაქთაქიშვილის მრავალმხრივი და ნაყოფიერი შოღგაწეობა
მოწმობს მის სამაგლიოთო შინაგან ორგანიზებულობას, შრომის-
მოყვარეობას, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობას ნაკისრ ვალ-
დებულებათა პირნათლად შესრულებაში. ყოველივე ეს საწინდე-
რია იმისა, რომ 62 წელს მიღწეული სახელოვანი კომპოზიტორი,
ეროვნული მუსიკალური კადრების აღმზრდელი, აქტიური საზო-
გადოებრივი მოღვაწე, გულისხმიერი ადამიანი და მეგობარი, რო-
მელმაც საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა,
შემდეგშიაც ბევრ რამეს შესძენს მშობლიურ მხარეს და ხელს შე-
უწყობს ეროვნული სამუსიკო ხელოვნების განუხრელ ზრდასა და
განვითარებას.



შეკვეთა 606

თე 03752

ტირაჟი 1000

საქ. კპ ცე-ის გამომცემლობის ა. ფ. მიასნიკოვის სახ.
სტამბა „ზარია ვოსტოკა“ თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42.



**Павел Васильевич Хучуа
Шалва Тактакишвили**

(моноографический очерк
на грузинском языке)

Издание Музфонда Грузии
Тбилиси 1962 год



1960 27 353.



うべ市立図書館
おもてなしのまちうべ

803